პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 160 (13245) | პარასკევი, 9 ივლისი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐᲨᲘ

ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲐᲓ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲗᲐᲜ!

ᲘᲕᲚᲘᲡᲘᲡ აქვს მეორე სახელიც — მკათათვე. ამ თვეში მასობრივად ჩალდება და სულ უფრო იკრებს ძალებს თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება.

უხვი მოსავლისათვის ბრძოლის ამ გადამწყვეტ ეტაპზე ჩვენი რესპუბლიკის ბევრმა სასოფლო პარტიულმა ორგანიზაციამ კვლავ გააძლიერა ორგანიზატორული და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა. ისინი ცდილობენ მისწვდნენ ყოველ ადამიანს, დაეხმარონ სოფლის მშრომელებს განსაზღვრონ თავიანთი ადგილი გეგმებისა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში. ადამიანი, მისი საჭიროებანი, მოთხოვნები და შრომითი საქმეები პარტიული ორგანიზაციების ზრუნვის ცენტრში დადგა.

მდინარე ჩელთის მარცხენა ნაპირას, „ხშირ მუხებთან", — გვწერს სოფლკორი, — ყვარლის რაიონის სოფელ შილდის კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობის პურის ყანები ზღვასავით ღელავს. კოლმეურნეებს შრომა დაუფასდათ. საკოლმეურნეო პარტიულმა ორგანიზაციამ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ცენტრი ახლა აქ გადმოიტანა. საველე აგიტპუნქტი სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობს. მშრომელებთან ხშირად ნახავთ აგიტატორებს ა. ჯალალაშვილს, ჯ. აღნიაშვილს, ხ. მირიანაშვილს და სხვებს. აქვე კოლმეურნეებს შეუძლიათ შესვენების დროს წაიკითხონ ახალი ფურნალ-გაზეთები. გაეცნონ საველე ფურცლებს, მოისმინონ ლექციები და მოხსენებები, ეწინასწარ სოფლის კოოპერატივმა საველე კალოსთან მოაწყო სახადილო, რომელიც მინდვრის მშრომელთათვის ცხელ კერძებს ამზადებს.

ყოველმხრივ მისაბაძია სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის კოლმეურნეობის აგიტკოლექტივის მაგალითი, რომელმაც უშუალოდ მინდვრად გაშალა მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა.

ყველაფერი ეს კარგია, მაგრამ ზოგიერთი რაიონიდან საგანგაშო სიგნალებიც მოდის. ერთი კვირაა, რაც ცხინვალის რაიონის სოფელ ლრმის კოლმეურნეობაში მოსავლის აღება დაიწყო, მაგრამ მინდვრად გასულ აქაურ კოლმეურნეებს აგიტატორები თვალითაც არ უნახავთ. მათ ახალი ფურნალ-გაზეთები ინატრებათ. ცხელ კერძებსა და ადამიანთა სხვა საჭიროებებზე არავის არ უფიქრია.

დღეს ჩვენი პარტორგანიზაციების არსენალში არის მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ბევრი ქმედითი, ნაცადი საშუალება და ფორმა. ესენია: საუბრები, მოხსენებები და ლექციები, რაიონული გაზეთი, კედლის გაზეთები, „საბრძოლო ფურცლები", „ელვა", რადიომაუწყებლობა, აგიტკულტბრიგადები. საჭიროა ყველაფერი ეს მათ შთელი სისრულით გამოიყენონ. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა მიაწოონ იმას, რომ საველე კალოებზე იყოს წითელი კუთხეები პატარა ბიბლიოთეკებით, რადიომიმღებებით. აქვე უნდა გაისმოდეს აგიტატორთა მაზნებარეხმა. უნდა ვიზრუნოთ იმისათვის, რომ ადამიანები, რომლებიც უშუალოდ მინდვრად მუშაობენ, ყოველდღიურად იღებდნენ ცხელ კერძებს. მათ იქვე უნდა შეეძლოთ იყიდონ პირველი მოთხოვნილების საგნები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებმა ფართო პორიზონტები გადაშალა სოფლის მშრომელთა წინაშე. ალაფრთოვანა ისინი და განუმტკიცა ჩვენი დიდი საქმის გამარჯვების რწმენა. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ თუნდაც ერთი წუთით შევასუსტოთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა.

სანიმუშოდ მოწყობილი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა და კარგი კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობის მძლავრი მერკეტია.



42 ᲐᲗᲐᲡᲘ წყვილი ლამაზად ნაქსოვი, ფაქიზი და გამძლე ქალის წინდა გამოუშვა ივნისში გეგმის გადამეტებით თბილისის კაპრონის წინდის ფაბრიკა „კრწანისის" კოლექტივმა ჩვენი დიასახლისებისა და ქალიშვილების გასახარებლად. თბილისურ კაპრონის წინდას უველგან ხალისით ეტანებიან.

ამ თბილისურ ნაწარმს პოპულარობა მოუპოვეს წინდის ქსოვის მოწინავე ადამიანებმა, რომლებიც ფაბრიკაში მრავლად პყავთ. ორი მათგანი — მოწინავე მქსოველები ელისაბედ გალუსტაშვილი (მარცხნივ) და ცისანა მაისურაძე — აღბეჭდილია ამ სურათზე. მათ სახელი გაითქვეს ფაქიზი, მაღალნაყოფიერი შრომით, მხოლოდ საუკეთესო ხარისხის ნაქსოვის გამოშვებით. წინდის ხარისხის მთავარი მტერია ძაფის წუვეტიანობა, მაგრამ თუ საქსოვ მანქანას მართავს კვალიფიციური მქსოველი, რომელიც ხარისხის ამაღლებისათვის ზრუნავს და დაკვირვებას იჩენს, წუვეტიანობას არ დაუშვებს.

ელისაბედ გალუსტაშვილმა და ცისანა მაისურაძემ ივნისში გეგმის გადამეტებით სამას-სამასი წყვილი წინდა გამოუშვეს.

ფოტო ს. კილაძისა.

ᲞᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲞᲐᲢᲐᲙᲔᲑᲘ

ᲙᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით საერთო და სასაქონლო პროდუქციის გამოშვების ექვსი თვის გეგმა შეასრულა 102,5 პროცენტით, ავტომობილების გამოშვებისა — 100,9 პროცენტით, სათადარიგო ნაწილებისა — 101,5 პროცენტით. ამასთან, განვლილ პერიოდში გეგმასთან შედარებით 4,7 პროცენტით ამაღლდა შრომის ნაყოფიერება.

მიმდინარე წელს უკვე მიღებულია 2 მილიონ 708 ათასი მანეთი მოგება. აქედან ზეგეგმითი მოგება 532 ათას მანეთს შეადგენს.

ახლა ავტომშენებლები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მესამე კვარტალშივე დაიწყონ „კაზ-608" მარკის 11,5 ტონის ტვირთგამწეობის ავტომატარებლის სერიული წარმოება.

ᲡᲝᲩᲮᲣᲛᲘ. (საკ. კორ.). სოხუმის მარმარილოს მაღაროთა სამმართველოს კოლექტივმა საერთო პროდუქციის გამოშვების 6 თვის გეგმა 114,2 პროცენტით შეასრულა და მშენებლობებს 29 ათასამდე ტონა მაღალხარისხოვანი გარდისფერი და თეთრი მარმარილოს ნამცეცი გაუგზავნა. გადაჭარბებით შესრულებულია პროდუქციის რეალიზაციის დავალებაც. ნახევარი წლის განმავლობაში მოგებამ 57 ათას მანეთს გადააჭარბა.

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲨᲘ

ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲗᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეავსრულოთ შვიდწლედის დამამთავრებელი წლის დავალება. — ასეთი დევიზით შრომობს თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებლო ქარხნის კოლექტივი. ამ პირობის გასახადებლად საამქროებსა და ბრიგადებს შორის ფართოდ გაშლილია სოციალისტური შეჯიბრება. მოპოვებულია მნიშვნელოვანი წარმატებანი.

ქარხანამ ყველა მაჩვენებლის მიხედვით გადაჭარბებით შეასრულა ექვსი თვის საწარმო დავალება და გეგმის გადამეტებით 100 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა. ბათუმის ღვინის ქარხანას გაეგზავნა ღვინის ჩამოსასხმელი ავტომატური ხაზი, რომელიც ზეგეგმითი პროდუქციის ანგარიშში გადაეცემა. ასევე შეკეთდა ღვინის ქარხანაში ახალი წარმოებს ღამონტაჟები. [illegible] ავტომატური ხაზისა, რომელიც მანქანათმშენებლებმა გეგმის გადაჭარბებით გამოუშვეს.

ექვსი თვის მანძილზე შრომის ნაყოფიერების ზრდამ გეგმით ნავარაუდევს 5,1 პროცენტით გადააჭარბა. მიღებულია 76 ათასი კილოვატ-საათის ელექტროენერგია და 39 ტონა პირობითი საწვავის ეკონომია, ხოლო ხუთ თვეში პროდუქციის თვითღირებულების შემცირებითა და შრომის ნაყოფიერების ზრდით ზეგეგმითმა დაგროვებამ 33 ათას მანეთს გადააჭარბა.

შვიდწლედის დავალებათა შესრულებისათვის გამლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა მანქანების ამწყობი ბრიგადა, რომელსაც შ. ომანიძე უძღვება. ამ ბრიგადამ ჯერ კიდევ მაისის დიდ დღესასწაულზე სამშობლოს უპატაკა შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებული დავალების შესრულება და მას შემდეგ პროდუქციას 1966 წლის ანგარიშში იძლევა. ბრიგადის წევრები ზეინკალ-ამწყობები ი. მაჩაბელი, ს. კარაკოზოვი, ა. მაკოიანი და სხვები, რომლებიც მომავალი წლის ანგარიშში მუშაობენ, საწარმოო დავალებებს სისტემატურად დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

ᲐᲮᲐᲚ ᲤᲐᲒᲠᲘᲙᲐᲨᲘ

ᲕᲘᲐᲗᲣᲠᲐ-ᲡᲐᲮᲩᲔᲠᲘᲡ მიდამოები განთქმულია კვარცის ქვიშების მდიდარი საბადოებით. მეტალურგიული მრეწველობა, სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობანი დიდძალ კვარცის ქვიშებს მოითხოვენ. რესპუბლიკაში პირველად ამენდა საჩხერის კვარცის ქვიშების გამამდიდრებელი ფაბრიკა, რომელიც წარმატებით მუშაობს და თანაც სწავლობს ჭიათურა-საჩხერის კვარცის საბადოებს.

ფაბრიკის ახალგაზრდა კოლექტივმა შეისწავლა, და რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში გამოსცადა სინფარისღელისა და ბაჯითის კვარცის ქვიშები, რომლებმაც კარგი შედეგები აჩვენეს. ესწავლობთ იტალიისა და კალიფორნიის საბადოებს, რომელთა პერსპექტივები დიდია.

განზრახულია 1966 წელს დაპროექტდეს და საჩხერეში აიგოს 200 ათასი ტონა წლიური წარმადობის კვარცის ქვიშების გამამდიდრებელი ფაბრიკა.

კვარცის ქვიშების ბაზაზე სასურველია საჩხერეში აიგოს მინის საწარმო, რომელიც უზრუნველყოფს ამქამად მშენებლობაში მყოფ საკონსერვო ქარხანას მინის პუჭარლით.

ტ. ᲬᲘᲠᲔᲗᲔᲚᲘ,
საჩხერის საყალიბე კვარცის ქვიშების მაღაროს დირექტორი.

ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲓᲐᲐᲛᲔᲢᲔᲑᲘᲗ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათმშენებლობის მრეწველობის საამართველოს საწარმოებმა შვიდწლედის დამამთავრებელი წლის ექვსი თვის დავალება ვადაზე ადრე გადაჭარბებით გაანაღდეს — გეგმის გადამეტებით გამოშვებული რამდენიმე ასეული ათასი მანეთის პროდუქცია.

შვიდწლედის დამამთავრებელი წლის დავალებათა ვადაზე ადრე შესრულებისათვის მოწყობილ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებლობის ქარხნის კოლექტივი, რომელმაც ექვსი თვის გეგმის გადამეტებით 119 ათასი მანეთის პროდუქცია მისცა სამშობლოს.

ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ

ᲛᲙᲐ ᲒᲐᲩᲐᲚᲓᲐ

ᲛᲪᲮᲔᲗᲐ. (ტელეფონით). თავიანთი მარცვლეული კულტურების მოსავლს სწრაფად და უდანაკარგოდ მკიან ნატახტრის საბჭოთა მეურნეობაში. აქაური კომბაინერები ნიკოლოზ ქოქოსაძე და ქრტესა ალიხანაშვილი პირველობისათვის ერთმანეთს ეცილებიან. თვითეული მათგანი დღეში კერის მოსავლის იღებს თორმეტ ჰექტარზე ნაცვლად რვა ჰექტარისა.

პურეულის მოსავლის აღებაში ბეჯითად მუშაობენ ძალისის, გალავნის, საგურამოს და სხვა სოფლების კოლმეურნეობებში.

მცხეთელ მხვნელ-მთესველთა პირობაა პურეულის მოსავლის აღება დაათვრობ 12 სამუშაო დღეში.

ᲗᲔᲗᲠᲘ ᲬᲧᲐᲠᲝ. (ტელეფონით). პურეულის აღებაში ყველა სასახელოდ მუშაობს სოფელ კოდის კოლმეურნეობის სტრაქტორო ბრიგადა, რომელსაც ა. მიკირტუმაშვილი ხელმძღვანეობს. აქ ფაქთოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. პირველობას ინარჩუნებენ კომბაინერები ტ. დალაქიშვილი და ნ. ჯავახიშვილი. ისინი დილაადრიან გადიან პურეულის სამკელად და დღეში 8 ჰექტარის ნაცვლად თვითეული ცამეტ-ცამეტ ჰექტარს მკის.

ᲢᲔᲛᲞᲘ ᲫᲚᲘᲔᲠᲓᲔᲑᲐ

ᲑᲐᲚᲘ, 8 ივლისი. მიუხედავად წვიმიანი ამინდისა, — განაცხადა საუბარში საქართველოს კომბარტიის გალის რაიკომის პირველმა მდივანმა **გ. ᲙᲝᲯᲐᲘᲐᲛᲘ**-გუშინ ფოთლის კრეფის ტემპი არ შენელებულა. მოიკრიფა 163 ტონა ჩაის ნედლეული თითქმის იმდენივე, რამდენიც წინა დღეს. სეზონის დაწყებიდან სულ მოკრეფილია 6.917 ტონა „მწვანე, ოქრო". ეს წლიური გეგმის 43 პროცენტია. 8 დღეში ფოთლის კრეფის ივლისის გეგმა შესრულებულია 20,1 პროცენტით.

შედარებით წინ მიდიან და ყოველდღე აძლიერებენ ფოთლის კრეფის ტემპს **შუქლეთის, ბარლების, ჩხოროწყლის** ბარათაშვილის სახელობის და სხვა სოფლების კოლმეურნეობები.

ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘᲡ რაიონის მეჩაიეები, — განაცხადა საუბარში საქართველოს კომპარტიის გეგეჭკორის რაიკომის პირველმა მდივანმა **ნ. ᲩᲮᲝᲚᲐᲠᲐᲫᲔ**, — ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ სასახელოდ შეასრულონ ნაკისრი ვალდებულება. რაიონში 6 ივლისს მოიკრიფა 105 ტონა ფოთოლი, 7 ივლისს — 140 ტონა, ხოლო გუშინ მოიკრიფა და ფაბრიკებს გადასაბუშავებლად ჩაბარდა 150 ტონა „მწვანე ოქრო". სეზონის დაწყებიდან მოკრეფილია 3.850 ტონა ჩაის ნედლეული, რაც წლიური გეგმის 47 პროცენტს შეადგენს.

ივლისში ფოთლის კრეფის ტემპი უფრო გაძლიერეს **ლეხაინდოროს** კოლმეურნეობაში. აქ ყოველდღე 6 ტონაზე მეტ ჩაის ნედლეულს კრეფენ ნაცვლად 5 ტონისა. ამ მხრივ ქების ღირსია **ნაგვაზოს** კოლმეურნეობა, **დიდი ჭყონის** საბჭოთა მეურნეობა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია **დიდი ჭყონის** მაბარაძის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე **ნ. ᲑᲔᲥᲕᲐᲫᲔ**) მუშაობა. ეს კოლმეურნეობა შარშან ჩამორჩენილი იყო. წელს საგრძნობლად გაუუმჯობესა მუშაობა. უკვე მოკრიფეს 203 ტონა ფოთოლი და ამით წლიური გეგმა 50 პროცენტით შეასრულეს.

ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ

ᲗᲘᲑᲐᲕᲔᲜ ᲓᲐ ᲖᲕᲘᲜᲐᲕᲔᲜ

ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝ. (საკ. კორ). ალაზნისა და შირაქის ველებზე ბალახმა ფერი იცვალა, მთიბავთ მოუხმო. კოლმეურნეობებმა არ დააყოვნეს, ასობით მექანიზატორი თიბვას შეუდგა.

ზემო ქედის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ა. კობაიძე) ბალახების თიბვაზე ცხრა ტრაქტორისა და შვიდი ცხენის სათიბი მუშაობს. შ. ᲑᲘᲑᲐᲘᲠᲘ, შ. ᲑᲐᲛᲐᲠᲣᲚᲘ, ᲚᲔ. ᲫᲘᲫᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ თიბვის დღიურ ნორმას ორმაგად ასრულებენ. აკეთმძღოლები რ. ᲫᲘᲫᲘᲫᲔ, კ. ᲐᲨᲣᲘᲐᲜᲘ, შ. ᲫᲘᲫᲘᲨᲕᲘᲚᲘ თივას მეცხოველეობის ფერმებთან ეზიდებიან. მიტანილი და დაზვინულია სამას ტონაზე მეტი თივა.

თივის დამზადება გააჩაღეს ქვემო ქედის, არხილოსკალოს, ჯაფარიძის კოლმეურნეობებმა.



ᲑᲠᲐᲢᲡᲙᲘ ᲨᲔᲜᲓᲔᲑᲐ. დღეს ეს მშენებლობა გაშლილია ასობით კვადრატულ კილომეტრზე. თიოქოს ყველაფერი, რაც აქ შენდება, უდიდესია მსოფლიოში — ჰიდროკვანძი, სატეხო-სამრეწველო კომბინატი, ალუმინის ქარხანა... ბრატსკის ჰესის 16 აგრეგატი დენს იძლევა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ბრატსკი იზრდება, კეთილმოწყობილ ბდება. ამავე დროს ქალაქის პეიზაჟში ტოვებს ტაიგის მშვენებას — ფიჭვებსა და ნაძვებს.

ფოტო ე. ᲑᲠᲘᲣᲑᲐᲜᲔᲚᲜᲘᲙᲝᲕᲘᲡ
(საკ. ფოტოქრონიკა)

ᲛᲐᲠᲘᲯᲐᲜᲘᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ

ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲔᲜᲪᲘᲐ ᲖᲐᲠᲐᲚᲘ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 8 ივლისი. (საკ.). საიგონის ჩრდილო-დასავლეთით 60 კილომეტრზე სამხრეთვიეტნამელი პარტიზანები დღეს ჩაუსაფრდნენ საიგონელ ჯარისკაცთა დიდ კოლონას. ეს კოლონა მიდიოდა ინტერვენტთა მისაშველებლად, რომლებსაც პარტიზანებმა შეუტიეს სხვა რაიონებში. ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი საიგონიდან იუწყება, რომ პარტიზანებმა დახოცეს 100-ზე მეტი ჯარისკაცი და 3 ამერიკელი „მრჩეველი".

„დ" ზონაში, სადაც ადგილმდებარეობის „ჩხრეკაში" მონაწილეობენ ამერიკის ჯარები, გუშინ დახოცეს 6 და დაჭრეს 10 ამერიკელი.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 8 ივლისი. (საკ.). „დ" ზონაში, რომელიც 50 კილომეტრზე მდებარეობს საიგონის ჩრდილოეთით, გრძელდება შეუპოვარი ბრძოლები სამხრეთვიეტნამელ პარტიზანებსა და „მოკავშირეთა ჯარებს" შორის. რომლებშიც შედის ამერიკის. ავსტრალიისა და სამხრეთ ვიეტნამის ჯარების ქვეგანაყოფები. ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იმოწმებს ვიეტნამის სამხედრო წარმომადგენლის ანცხადებას და იუწყება, რომ გუშინ ამერიკელებს დაუბიცეს ექვსი და დაუჭრეს ათი კაცი. კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ ერთი ბრძოლის განმავლობაში წინათ ამერიკელებს არასოდეს არ განუცდიათ ასეთი ზარალი.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 8 ივლისი. (საკ.). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, სამხრეთვიეტნამელმა პარტიზანებმა საიგონის ჩრდილო-აღმოსავლეთით 60 კილომეტრზე გაანადგურეს მთავრობის ჯარების ბატალიონი.

ᲛᲐᲕᲠᲘᲢᲐᲜᲘᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 8 ივლისი. (საკ.). ნიუაშოტში ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ მავრიტანიის გადაწყვეტა გავიდეს აფრიკა-ევროპაში, საერთო ორგანიზაციიდან. როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი იტყობინება, ეს აღნიშნულია რესპუბლიკის პრეზიდენტის ანაცვლარიის კომუნიკეში, რომელიც მავრიტანიის დედაქალაქში გამოქვეყნდა.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲒᲐᲓᲐᲢᲠᲘᲐᲚᲔᲑᲐ?

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 8 ივლისი. (საკ.). დღეს საიგონში ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ მოსალოდნელია ახალი სახელმწიფო გადატრიალების. ცდა. განხორციელებული სიფრთხილის ღონისძიებანი მიუხედავ ისახავს უმიზეზოების უზრუნველყოფას. ამას ტყობინება იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლს. კორესპონდენტი სამხრეთ ვიეტნამიდან.

ოფიციალური წრეებიდან მიღებული ცნობების თანახმად, ეროვნული პოლიცია აწარმოებს გამოძიებას, რაც დაკავშირებულია ამ ცნობასთან. დედაქალაქის გარშემო განლაგებულ პოლიციის ჯარებს ნაბრძანები აქვთ თვალი ადევნონ ჯარების ყოველგვარ ეჭვეულო გადანაცვლებას.

უშიშროების სამხედრო სამსახურთან დაკავშირებულ წრეების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ბათუა. გაგებული აქვთ ეს ამბავი. „ეუბნ. ეუყოველ-ბის თანახმად, მოსალოდნელია, რომ გადატრიალების ყოველგვარ ცდას უხელმძღვანელოს პოლკოვნიკმა ფამ ნგოკ თხომ.

ᲛᲝᲚᲓᲐᲕᲔᲗᲘᲡ ᲦᲕᲘᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲮᲜᲔᲑᲨᲘ

ᲙᲘᲨᲘᲜᲝᲕᲘ. ქალაქ კალარაშში ამუშავდა ახალი ღვინო-კონიაკის ქარხნის პირველი რიგი. ეს მოლდავეთის სახალხო მეურნეობის საბჭოს უდიდესი ღვინის საწარმო წელიწადში გამოუშვებს 900 ათას დეკალიტრ ღვინოს და 500 ათას დეკალიტრ კონიაკის სპირტს.

ცხრამეტ ღვინის ქარხანას აშენებს წელს მოლდავეთის სახალხო მეურნეობის საბჭო. (საკ).

ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲝᲮᲐᲒᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲤᲘᲜᲔᲗᲘᲨᲘ

ᲤᲘᲜᲔᲗᲘᲨᲘ ოფიციალური ვიზიტის დამთავრების შემდეგ კოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ედუარდ ოხაბი ვარშავაში დაბრუნდა.

ᲮᲐᲜᲫᲐᲠᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 8 ივლისი. (საკ.). ჩრდილოეთ კაროლინის შტატის ქალაქ აშვილის მახლობლად საიდუმლო სამხედრო ქარხანაში გაჩნდა ხანძარი. იუწყება იუნაიტედ პრეს-ინტერნეშნლის სააგენტო. „ამკელ პროპალშნ კომპანის" ფირმის ამ ქარხანაში ამზადებენ საწვავს რეაქტიული თვითმფრინავებისა და რაკეტებისათვის. აფეთქების შიშით, ხელისუფლები აწარმოებენ მცხოვრებლების ევაკუაციას იმ სახლებიდან, რომლებიც ორი მილის რადიუსში მდებარეობენ. დაუდასტურებელი ცნობებით რამდენიმე მუშა დაშავდა. ქარხნის რაიონში არ უშვებენ პრესის წარმომადგენლებს. იქ გაგზავნეს სამოქალაქო თავდაცვის რაზმები, მეხანძრეები და საშველი რაზმები.

ᲜᲘᲔᲠᲔᲠᲔᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ᲓᲐᲠ-ᲔᲡ-ᲡᲐᲚᲐᲛᲘ, 8 ივლისი. (საკ.). ტანზანია კელავ მზად არის შეიდგეს ალმოსავლეთ აფრიკის ფედერაციაში. ჩვენ რომ უცხოეთის სახელმწიფოებს ვუყურებდეთ, უნდა წავიხუბებულიყავით კენიასთან და უგანდასთან. მაგრამ ეს არ მოხდება, განაცხადა ტანზანიის პრეზიდენტმა ჯულიუს ნიერერემ.

პრეზიდენტმა სიტყვა წარმოთქვა ტანგანიკის აფრიკელთა ეროვნული კავშირის პარტიის შექმნის 11 წლისთავის ზეიმთან დაკავშირებით და თქვა: ჩვენ უკვე განვიცხადეთ „პრეზიდენტ კენიატას, თუ თქვენი ქვეყანა დაუყოვნებლივ მზად არის გაერთიანებისათვის, ტანგანიკაც მზად არის.

მეტრნგზე სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე „აფრო-შირაზის" პარტიის გენერალურმა მდივანმა თხაბიტ კომბომ. მან თქვა, რომ ზანზიბარისა და პემბის ხალხი სავსებით მხარს უჭერს ტანზანიის პრეზიდენტ ნიერერეს.

ᲛᲐᲥᲐᲓᲜᲐᲤᲘᲪᲔᲑᲘ

ᲢᲝᲙᲘᲝ, 8 ივლისი. (საკ.). იაპონიის უდიდესი ნავსადგურის იოკოჰამის მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ძმური ურთიერთობა დაამყაროს საბჭოთა კავშირის გმირ ქალაქ ოდესასთან. საბჭოთა კავშირში გაგზავნა საქალაქო კრების დეპუტატთა დელეგაცია, რომელიც 21 ივლისს ოდესის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს გადასცემს იოკოჰამის მერის იტიო ასუკადას წერილს. ასუკადა ქალაქის თითქმის ორმილიონიანი მოსახლეობის სახელით ქმაყოფილებას გამოთქვამს ამ მოვლენის გამო და წერს, რომ იოკოჰამისა და ოდესის ძმური ურთიერთობა ხელს შეუწყობს იაპონიისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას, წელილს შეიტანს მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

იოკოჰამა იაპონიის მესამე ქალაქია, რომელიც საბჭოთა ქალაქს დაუმეგობრდა. ოთხი წლის წინათ ძმადაფიცი ქალაქები გახდნენ მაიამური და ნახოდკა, ხოლო მიმდინარე წლის აპრილში — ნიიგატა და ხაბაროვსკი.

ᲨᲔᲛᲪᲘᲠᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 8 ივლისი. (საკ.). მაისში საფრანგეთის სამრეწველო წარმოება 0,4 პროცენტით შემცირდა. კერძოდ ეს ეხება ქიმიურ, ნავთობისა და გაზის მრეწველობას. გასული წლის მარტთან და აპრილთან შედარებით მიმდინარე წლის მაისში სამრეწველო წარმოების ინდექსი საფრანგეთში 1,4 პროცენტით შემცირდა. ამას მოწმობს აქ გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემები.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ

მშობლიური ხმა

ეს იყო ათი წლის წინათ.

ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ინიციატივით შვეიცარიის ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქში — ლოზანაში 1955 წლის 7-10 ივლისს გაიმართა დედათა მსოფლიო კონგრესი.

კონგრესის მოწვევას მხარი დაუჭირა 79 ქვეყნის ქალმა — დედამ. მაგრამ მის მუშაობაში მოხაწილეობა მიიღეს 66 ქვეყნის წარმომადგენლებმა, რადგან ზოგიერთი ქვეყნის რეაქციული მთავრობა წინააღუდგა დელეგატების გამგზავრებას კონგრესზე.

ლოზანაში შეიკრიბნენ დედები ერთი მიზნით: ეხსნათ ბავშვები ახალი ომის საშიშროებისაგან, შეკავშირებულიყვნენ თავიანთი ქვეყნის ხალხების დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის საბრძოლველად. ამ გადაწყვეტილებით მოვიდა კონგრესზე ჩინეთის, საფრანგეთის, ინგლისის, საბჭოთა კავშირის, ინდოეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, იტალიის, გერმანიის, პოლონეთის, შვეიცის, ლათინური ამერიკის, აფრიკის კონტინენტისა და მრავალი სხვა ქვეყნის 1.060 დელეგატი. აღსანიშნავია, რომ ამ რიცხვიდან 225 დელეგატი სამზე მეტი შვილის დედა იყო.

დედათა მსოფლიო კონგრესის მოწვევის მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარემ ფრანგმა პატრიოტმა ქალმა ეევენი კოტონმა კონგრესის გახსნისას წარმოთქმულ მგზნებარე სიტყვაში მადლობა გადაუხადა იმ დედებს—ქალებს, რომლებიც აღსდგნენ მშვიდობის, ბავშვთა ინტერესების დასაცავად.

კონგრესზე სიტყვით გამოვიდა ასზე მეტი დელეგატი. უბრალო მუშა და გლეხ ქალებთან ერთად კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდნენ გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწენი, მინისტრები, დეპუტატები და მუნიციპალიტეტის მრჩეველები, ექიმები და მასწავლებლები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის წარმომადგენლები. აქ იყვნენ არა მარტო სხვადასხვა ქვეყნისა და ერის წარმომადგენლები, არამედ სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების, რწმენისა და საზოგადოებრივი მდგომარეობის ადამიანები. დიდი მუშაობა გასწიეს ბავშვთა აღზრდის, ჯანმრთელობისა და მათი სოციალური უფლებების დაცვის კომისიებმა. ასობით ქალი მონაწილეობდა კონგრესის დოკუმენტების შემუშავებაში. არ დარჩენილა თითქმის არცერთი დელეგატი, რომ კონგრესზე არ გამოეთქვას თავისი მოსაზრება და მისწრაფება.

ეს იყო იმ დედათა ხმა, რომლებმაც ბავშვებთან ერთად გადატანეს ომის საშინელებანი. რომელთა შვილები დახოცეს, დახვრიტეს. დაწვეს და აწამეს ოსვენციმისა და სხვა საკონცენტრაციო ბანაკებში.

აი რას გვიამბობს ამ კონგრესის მონაწილე ქალი საბჭოთა კავშირიდან — ტატიანა მურაშკინა:

ძნელია სიტყვებით გადმოგცეთ ის მღელვარება, რომელმაც შეიპყრო დელეგატი ქალები, როდესაც ქალბატონი სენონი, ფრანგი დედა, უყებოდა პიტლერელების მიერ 1944 წლის 10 ივნისს ჩადენილი ბარბაროსობის ამბავს. ქალბატონი სენონი საშინლად ღელავდა. მას ხომ მთელი ოჯახი დაეღუპა. ქმარი, მშობლები, დეიდაშვილები, დები, ძმები, დისშვილი—17 წლის მშვენიერი გოგონა კატრინა. შემთხვევით გადარჩენილი ქალბატონი სენონი მოწმე იყო იმ ფაქტისა, თუ როგორ წამოაგეს ხიშტზე ფაშისტებმა კატრინა და ცოცხლად ჩააგდეს კოცონში...

კონგრესზე გამართულმა ფართო და თავისუფალმა დისკუსიამ განაპირობა მისი დიდი წარმატება. ყველა დოკუმენტი ერთხმად იქნა მოწონებული და მიღებული.

კონგრესმა მიმართვა გაუგზავნა იმუამად ჟენევაში მიმდინარე ოთხი დიდი სახელმწიფოს მეთაურების თათბირს, მოწოდებით მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და მიიღო მსოფლიოს ქალებისადმი მიმართული მანიფესტის ტექსტი.

დედათა მსოფლიო კონგრესი გამოთქვამს რწმენას, — აღნიშნული იყო მანიფესტში, — რომ ჩვენ ვიმოქმედებთ გაერთიანებული ძალებით. ყველამ ვიცით, თუ რამდენი შრომისა და ენერგიის დახარჯვაა საჭირო ბავშვის აღსაზრდელად. ადამიანად მისი ჩამოყალიბებისათვის. ქალები ვერ შეეურიგდებით იმას, რომ საომრად ნიცოცხლეს, რომელსაც ჩვენ ვანიჭებთ ჩვენს შვილებს.

ჩვენ არ გვინდა ომი!

დაე უფრო ძლიერად გაისმას ჩვენი დედების ხმა მთელ მსოფლიოში!

უკუუგდოთ აზრიც კი ატომური იარაღის გამოყენების შესახებ, მოვითხოვოთ მისი აკრძალვა და განადგურება. ჩვენ გვსურს, რომ ატომური ენერგია მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით იქნას გამოყენებული.

მსოფლიოს ქალებო!

არცერთ დედას არა სურს, რომ ჩვენმა შვილებმა ერთმანეთი ულტონ.

აღვზარდოთ შვილები ყველა ეროვნების ხალხთა სიყვარულისა და პატივისცემის სულისკვეთებით!

ყველა ბავშვი — თეთრკანიანია იგი, ყვითელკანიანი თუ შავკანიანი — თანაბარია და აქვს ცხოვრების თანაბარი უფლება. ჩვენ ყოველნაირად უნდა დავიცვათ ისინი!

ლოზანის დედათა კონგრესის მიერ მიღებული მანიფესტი და სხვა დოკუმენტები მისწვდა მსოფლიოს ყველა კუთხეს. დელეგატებმა ადგილებზე დაბრუნების შემდეგ დიდი მუშაობა გააჩაღეს, გამოდიოდნენ კრებებზე, მიტინგებზე ქალაქად და სოფლად. ყველგან, სადაც კი მოწოდებით მისწვდებოდნენ, მიმართავდნენ პროგრესულ ადამიანებს გაეძლიერებინათ ბრძოლა ომის წინააღმდეგ, ბავშვთა უფლებების დასაცავად.

ლოზანის კონგრესის მოწოდების შედეგად გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო დეკლარაცია ბავშვთა უფლებების შესახებ. დეკლარაციაში ნათქვამია: „ვინაიდან ბავშვი ფიზიკურად სუსტი არსებაა და ინტელექტუალურად მოუმწიფებელი, იგი მოითხოვს განსაკუთრებულ ზრუნვას და მფარველობას“, „აცაბრიობა ვალდებულია მისცეს ბავშვს ყოველივე საუკეთესო, რაც მას გააჩნია“. მიუხედავად ამისა, მსოფლიოში დღეს მილიონობით ბავშვი ისევ კოლონიალიზმის, იმპერიალისტთა აგრესიული ომებისა და ფაშიზმის მსხვერპლია, ბავშვებს მშობლებთან ერთად ციხეებში ამწყვდევენ ან მშობლების ზრუნვას და ალერსს აკლებენ.

ჩვენი ეპოქა მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის უმაგალითო განვითარების ეპოქაა. იმსხვრევა კოლონიალიზმი, იღვიძებს შეგნება ადამიანებისა, რომლებიც საუუნეთა მანძილზე იჩაგრებოდნენ.

დღეს უცნაურად გვეჩვენება, რომ ცივილიზაციის ეპოქაში ადამიანებს უხდებათ ბრძოლა ბავშვების ბედნიერებისათვის, მათთვის ნორმალური პირობების შესაქმნელად.

ამ უკანასკნელ პერიოდში ბურუჟუაზია ქადაგებს, რომ კაპიტალიზმი ამჟამად თითქოს აღარ არის ისეთი, როგორიც ადრე იყო, რომ ის თითქოს „სახალხო“ და „ჰუმანური“ გახდა. მაგრამ სინამდვილეში კაპიტალისტურ ქვეყნებში, რომელთა მთავრობები დაადგნენ გამაღლებული შეიარაღების გზას, და იმ ქვეყნებში, სადაც ჯერ კიდევ ბატონობს კოლონიალიზმი, მილიონობით ბავშვი იხოცება შიმშილის, ავადმყოფობისა და აუტანელი შრომისაგან.

მსოფლიოში მცხოვრები მილიარდი ბავშვისაგან ექვსასი მილიონი შიმშილისა და ავადმყოფობისაგან იტანჯება, 250 მილიონი ბავშვი, ე. ი. სკოლის ასაკის ნახევარი, მოკლებულია სწავლის საშუალებას.

ინდოჩინეთში თითქმის მეოთხედი საუკუნეა იღვრება სისხლი. წყდება მშვიდობიანი მოსახლეობა, ფეთქდება ბომბები და ყუმბარები. ამერიკელი იმპერიალისტები მომწამლავ ნივთიერებებს აფრქვევენ.

კაპიტალისტური ქვეყნების პროგრესული საზოგადოებრიობა დაფინებით იბრძვის „ბავშვთა უფლებების დეკლარაციის“ პრინციპების განსახორციელებლად. მაგრამ კაპიტალისტებისათვის უფრო სასარგებლოა ულდეცი სახსრების ხარჯვა შეიარაღებაზე, ვიდრე განათლებისათვის. შეერთებული შტატების შრომის სამინისტროო არც კი მალავს იმ ფაქტს, რომ უკანასკნელ პერიოდში — 1970 წლამდე 7.500 ათასი ამერიკელი ვერ მიიღებს საშუალო განათლებას.

დასავლეთ გერმანიის მთავრობა ცდილობს, რომ სკოლა ეკლესიის გავლენას დაუქვემდებაროს, გადასცეს იგი კერძო პირებს. აქ ახალგაზრდობა იზრდება მილიტარიზმის, რევანშიზმისა და ომისაკენ სწრაფვის სულისკვეთებით.

საბჭოთა ადამიანებს არ შეიძლება არ აწუხებდეთ ის ფაქტი, რომ მსოფლიოში მრავალი უბედური, უსახლკარო ბავშვია. შიმშილი, ავადმყოფობა, სამედიცინო დახმარების უქონლობა. ბავშვთა მძიმე შრომა, ბოროტმოქმედების ზრდა, — აი ყველა ის უბედურება, რაც უნდა აღაგზოს კაცობრიობამ.

ეგრეთწოდებული ცივილიზებულ ქვეყნებში შეიძლება ბავშვებით ვაჭრობაც კი წაიწყდეთ.

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში“ გამოქვეყნდა სტატია: „რატომ გაყიდა ვირჯინიამ თავისი ქალიშვილი“, ამ ტრაგიკული ამბის შესახებ ბავშვის დედა იტყობინებდა: „მე გავყიდე ჩემი უფროსი ქალიშვილი იმისათვის, რომ უმცროსი შიმშილით სიკვდილისაგან შეეხსნა“. 1964 წლის დეკემბერში ტერეზა მარცანამ იტალიის ქალაქ არცოში, შიმშილითა და სიღარიბით ცხოვრებამ, ეს ორ-ოცი ბავშვი ... ბავშვებით ვაჭრობამ შეერთებულ შტატებში ისეთი ფართო სასიათი მიიღო, რომ ეს ამბავი სენატიც კი დაინტერესდა. ყოველწლიურად [illegible] ... ბავშვებით ვაჭრობს [illegible] ... ბავშვებით ვაჭრობენ [illegible] ... ბავშვებით ... ამერიკის ... ბავშვებს ... ბავშვებს ... ბავშვებს

მეცნიერების მიღწევები სახალხო მეურნეობას

საბჭოთა მეცნიერები აქტიურად მონაწილეობენ კოსმოსის ბატონობისტვის მეცნიერული ბაზის შექმნაში. ისინი ცდილობენ მეცნიერების მონაპოვარი ჩაიყენონ ხალხის სამსახურში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტის საერთო კრების სამეცნიერო სესია

სახალხო მეურნეობაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მიღწევების დანერგვის აქტუალურ საკითხს მიეძღვნა რესპუბლიკის აკადემიისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტის საერთო კრების გაერთიანებული სამეცნიერო სესია, რომელიც 6 ივლისს გაიმართა.

საერთო კრება გახსნა საქართველოს სსრ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ნ. ი. ბუსხელიშვილმა.

ბოხსენება გააკეთა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, ლენინური პრემიის laureატმა აკადემიკოსმა ი. ნ. ვეკუამ.

მომხსენებელმა თქვა, რომ გაიზარდა მოწინავე საბჭოთა მეცნიერების როლი, რომელიც საზოგადოების უშუალო საწარმოო ძალა გახდა, რომ საბჭოთა მეცნიერების როლის მნიშვნელობის გადიდება კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდის დიდმნიშვნელოვანი კანონზომიერებაა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრის, ნოემბრის (1964 წ.) და მარტის (1965 წ.) პლენუმების გადაწყვეტილებებმა, რომლებმაც დასაბეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი უფრო კვალიფიციური, მეცნიერულად დასაბუთებული ხელმძღვანელობის გზები, ფართო შესაძლებლობანი შექმნეს პრაქტიკაში მეცნიერების მიღწევების დასაბერგავად.

აკადემიის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებს საერთაშორისო სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში. მომხსენებელმა მოიყვანა მეცნიერებისა და საწარმოს მუშაკების ნაყოფიერი თანამეგობრობის დამაჯერებელი მაგალითები. გაერთიანებული ძალებით ისინი ხელს უწყობენ ტექნიკურ პროგრესს, წყვეტენ დიდმნიშვნელოვან სახალხო-საეკონომიკო ამოცანებს. უკანასკნელი 2-3 წლის განმავლობაში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დანერგა აკადემიის მეცნიერთა 38 ნაშუშევარი, რომელთა საერთო ეფექტიანობა რამდენიმე ათეულ მილიონ მანეთს უდრის.

მაგალითად, საქართველოში რაბლოპისტის — მილების წარმოება, ყოველწლიურად სულ ცოტა ორ მილიონ მანეთ ეკონომიას ოგვცემს. მეტად მნიშვნელოვან სახალხო სამეურნეო ეფექტს იძლევა საქართველოს ქიმიკოსთა და ელექტროქიმიკოსთა გამოკვლევები ქიათურის მანგანუმის ღარიბი მადნების კომპლექსური გამოყენებისა და გამდიდრების დარგში. ელექტროლიტური მეთოდით კალიუმის პერმანგანატის წარმოების ტექნოლოგიის შემდგომმა გაუმჯობესებამ შესაძლებელი გახადა მნიშვნელოვნად შეგვემცირებინა ამ ძვირფასი ქიმიური პროდუქტის თვითღირებულება.

გეოლოგიურმა ინსტიტუტმა შეიმუშავა პროგნოზები საქართველოში სპილენძის ალმადანის ფარული საბადოების აღმოსაჩენად. მათემატიკოსების დახმარებით ელექტრონულ მანქანაზე მოახდინეს მსოფლიოში ყველაზე მაღალი ენერგეტიკის კაშხალის გაანგარიშებანი. სეისმოლოგებმა შეიმუშავეს ანტისეისმური კონსტრუქციები, რომლებიც 8 ბალიან მიწისძვრას უძლებენ.

საბჭოთა ხალხი სამართლიანად მოელის, რომ მეტ აქტივობას გამოიჩენენ მეცნიერები, რომლებიც სოფლის მეურნეობის პრობლემებზე მუშაობენ. ახლა, როცა მზიდებულია დაუსაბუთებელი თეორიები და დოგმები, რომლებიც სოფლის მეურნეობის მეცნიერებაში დიდხანს ინერგებოდა ადმინისტრაციული მეთოდებით, ფართო შესაძლებლობა იქმნება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პრაქტიკაში მეცნიერების მიღწევების დანერგვიაათვის, მეცნიერული კვლევის ინსტიტუტი განვითარებისათვის, რომლებიც ითვალისწინებენ საოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებას.

აკადემიის ინსტიტუტები ამ მიმართულებით დიდ მუშაობას აწარმოებენ. ალაზანის ველის 180 ათას ჰექტარზე იყენებენ ღრუბელზე ხელოვნური ზემოქმედების მეთოდებს, სეტყვისაგან ვენახების და ხეთესების დაცვის მიზნით, რომელიც მეცნიერმა გეოფიზიკოსებმა შეიმუშავეს. ბოტანიკოსებმა წიაადადება წამოაყენეს სიმინდის დამუშავების დროს გამოიყენონ ბრომიანი კალიუმი, რაც 13-18 პროცენტით აღიდებს მოსავლიანობას; ვენახებისა და ბაღების საშინ ავადმყოფობებასთან — ქლოროზთან ბრძოლის წინააღმდეგ, დიდ როლს ასრულებენ საქართველოში შექმნილი ქლოროზის საწინააღმდეგო პოპპარატები, რომლებიც საქართველოში შეიქმნა.

მაგრამ სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის პრაქტიკული დახმარების დაგვი ჩვენმა მეცნიერებმა კიდევ ბევრი რამ უნდა გააკეთონ.

დიდი ამოცანები აქვს დასახული ეკონომიურ მეცნიერებას, რომელმაც ყოველწლიურად უნდა შეუწყოს ხელი წარმოებას დაგეგმვისა და მართვის შემდგომ გაუმჯობესებას. კერძოდ, ფართოდ უნდა გამოიყენონ ეკონომიურ-მათემატიკური მეთოდები.

აკადემიკოსმა ი. ნ. ვეკუამ და მოხსენების გამო გამართული ახრთა გაცვლის მონაწილეებმა აგრეთვე თქვეს, რომ ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაობაში, სახალხო მეურნეობაში მეცნიერებისა და მოწინავე ტექნიკის მიღწევათა დანერგვის საქმეში.

ორატორებმა აღნიშნეს, რომ ზოგიერთ ინსტიტუტს არ აქვს საჭირო საექსპერიმენტო და ლაბორატორიული ბაზები. ზოგიერთ შემთხვევაში მეცნიერები არ იჩენენ სათანადო სიმტკიცეს წარმოებაში თავიანთი აღმოჩენების დანერგვისათვის. მათი გამოკვლევების გამოყენება სახალხო მეურნეობაში ხშირად ჭიანურდება სამეურნეო ორგანიზაციების გულგრილობისა და უთაურობის გამო.

სესიაზე აღნიშნეს ისეთი ფაქტებიც, როცა ზოგიერთი ინსტიტუტის ხელმძღვანელი გაუმართლებლად ცდილობს ახალი განყოფილებებისა და ლაბორატორიების შექმნას, შტატების გაფართოებას და მთლიანად ვერ იყენებს უკვე არსებულ დიდ შესაძლებლობებს. აღინიშნა აგრეთვე, რომ ბიუროკრატიულად ეკიდებიან და აჭიანურებენ ზოგიერთი მკვლევრის შედეგების დანერგვას, ხშირად ბოლო არ უჩანს „მორიგებებს", დაუსრულებელ მიმოწერას, შეთანხმებას, რაც ახშობს ცოცხალ საქმეს.

ორატორებმა დაახასიათეს თანიანი ინსტიტუტების უმნიშვნელოვანესი ნაშუშევრები, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ კომუნისტური მშენებლობის გეგმების განხორციელებას, უამრავი მაგალითი მოიყვანეს იმისა, თუ როგორ მუშაობენ მეცნიერები და წარმოების მუშაკები სახალხო მეურნეობის შესაბამისი დარგის განვითარებისათვის, როგორ ეხმარებიან ერთმანეთს.

შეეხნენ აგრეთვე იმ საკითხს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტი ყოველდღიურ კონტროლს უწევდეს იმას, რომ ვადაზე შესრულდეს სრულიად საკავშირო და რესპუბლიკური მნიშვნელობის მეცნიერულ-კვლევითი თემები, რომლებიც შეტანილია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობისა და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის **განვითარების** 1965-1966 წლების საუნლეწიფო გეგმებში.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. შ. მიქელაძე, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, აკადემიის პრეზიდიუმის წევრი გ. ს. ძოწენიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი გ. ვ. ცაცანაშვილი, საქართველოს მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტის სამთო საქმის, მეტალურგიისა და ენერგეტიკის განყოფილების უფროსი შ. ს. შეყლაშვილი, წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის, სიბადოთა დამუშავებისა და აფეთქების ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ა. ა. ბიძიგური, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოყენებითი მექანიკისა და მართვის პროცესების განყოფილების აკადემიკოს-მდივანი ვ. ვ. მახალდიანი, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ქიმიური მრეწველობის სამმართველოს მთავარი ინჟინერი ნ. ი. ავალიანი, არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორი, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნ. ა. ლანდია.

სესიის მონაწილეებმა დასახეს სახალხო მეურნეობაში მეცნიერების მიღწევების და მოწინავე ტექნიკის უსწრაფესად დანერგვის გზები. მათ პარტიასა და მთავრობას პირობა მისცეს, რომ საბჭოთა მეცნიერები წარმოების მუშაკებთან შემოქმედებითი თანამეგობრობით ყოველ ღონეს იხმარენ, რომ გადაჭრით დაიჩქარონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, თავიანთი წვლილი შეიტანონ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერების შემდგომ განმტკიცებაში (საქდესი).

> ფესტივალის ორგიტაზე <

დოკუმენტალისტების გაიოცეს მაყურებელი

„დიდია რბოლა", მაგრამ ღირსებაა?

ამერიკის შეერთებული შტატების კინომატოგრაფისტებმა კრემლის ყრილობათა სასახლის საკონცერტო ეკრანზე წარადგინეს ორსერიანი ფართოფორმატიანი კინოკომედია „დიდი რბოლა", რომელიც დადგა რეჟისორმა ბლეიკ ედვარდსმა. ფილმში მონაწილეობენ თვალსაჩინო მსახიობები ჯეკ ლემონი, აგრეთვე ტონი კერტისი და ნატალი ვუდი.

როგორც კი დამთავრდა შესავალი კადრები — ფილმის თავისებური უვერტიურა — ავტორებმა მაყურებელს თავს დაატეხეს ექსცენტრიკული კომედიის ყველა ფანდი.

ავტორბოლა მარშრუტით ნიუ-იორკი — პარიზი, რომელიც საავტომობილო მშენებლობის გარიჟრაჟზე მოაწყვეს მოყვარულმა სპორტსმენებმა. ასეთია ამ კომედიის სიუჟეტი. ფილმის გმირები ერთმანეთს ხრიკებს უწყობენ, გაუთავებელი დევნა, ჩხუბი, უცნაური მოტაცება, „პოპულარული" ფილმებისათვის დამახასიათებელი ხერხებიც, — აი რითი ამოიწურება ფილმის შინაარსი.

მართალია, დადგმის მასშტაბი, სრულყოფილი კომბინირებული კადრები ზოგჯერ მოსწონს მაყურებელს, მაგრამ მთლიანად ფილმი ღლის მას. თუმცა ავტორებს ყოველნაირად უცდიათ როგორმე გაერთოთ იგი.

(საკდესის კორ.).

კინოოპერატორი და მიკროფონი

კინოს ცენტრალურ სახლს სადაც 6 ივლისს მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსი დაიწყო, — თავისი განსაკუთრებული მაყურებელი ყავს. ამ მაყურებელ-ოპერატორებს ინტერესებენ ფილმები, ტექნიკურ ამოცანებს ადგენენ ოპერატორებისა და მიკროფონის საშუალებით ამ „ორსულ" სახელი, ამჯერადაც გააოცეს მაყურებელი შესანიშნავი კადრებით, რომლებიც გრენლანდიაშია გადაღებული („გრენლანდიის ანსბერგები და მყინვარები").

ტაშით შეეგებნენ მაყურებლები შვეიცარიელ ოსტატთა ორ კინონოველას — „ურლის ეფვანს" და „მიღწევებს მეცნიერული კვლევის დარგში". თავშეკავებულად, შეიძლება ითქვას ოდნავ ირონიული ღიმილით უყურებდნენ ნიდერლანდელ ოსტატთა ფილმს „აკუმულაციას". ეს იყო თავისებური ცდა კინოაპარატის საშუალებით „გამემდიდრებინთ" ანსტრაქტული ფერწერის შესაძლებლობანი. (საკდესი).

მოსკოვი, 6 ივლისი.

სიახლეთა „ქალაქი"

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე

თბილისში ჩამოსულ ტურისტთა საექსკურსიო გეგმაში ერთ-ერთი პრიორიტეტი ადგილი უჭირავს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დათვალიერებას. აქ მნახველი გაეცნობა ჩვენი რესპუბლიკის მიღწევებს მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში. საკუთარი თვალით ნახავს, თუ რა ახალ პროდუქციას უშვებენ საქართველოს საწარმოები, ნახავს ჩვენი მეცნიერების მიერ შექმნილ ახალ მანქანა-დანადგარებს, ხელსაწყოებს.

ახლა აღარ გამოფენის პავილიონებში წარმოდგენილი ყველა ექსპონატი, მათი რაოდენობა 5.000-მდე აღწევს. მხოლოდ ზოგიერთ სიახლეზე გეცნობებით, რომლებმაც სულ ახლახან შეაღწიეს 1965 წლის მიღწევათა გამოფენის ექსპოზიცია.

— ეს უკვე რიგით მეექვსე ექსპოზიციაა, — გვიხსნის საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის დირექტორი ვ. ლოლაძე. —ყოველ გახსნაზე პავილიონებში ვცვლით წარმოდგენილ ექსპონატებს, ვუმატებთ ახალს, საუკეთესოს, რის გამოშვებაც დაწყებულ ჩვენმა საწარმოებმა ან ახლო მომავალში მიაწოდებენ მომხმარებლებს, გამოფენა-საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შემავალი ინსტიტუტების ახალ ნამუშევრებს, მნახველს წარმოუდგენთ სოფლის მეურნეობის მიღწევებს. ერთი სიტყვით, აქ შეგიძლიათ ნახოთ ჩვენი რესპუბლიკის მთელი ცხოვრების სურათი.

ექსპოზიციის დათვალიერებას გიწყებთ მთავარი პავილიონით. „ტყვარჩელქვანახშირის" № 6 შახტში პირველად საბჭოთა კავშირში გაუყენებენ მიწისქვეშა კიდული სამაგირო გზა. აქ არის მისი მოდელი, ფოტოსურათები, ეკონომიური მონაცემები.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტმა ახალ ექსპონატად წარმოადგინა სამრეწველო ძაბვის სტაბილიზატორი, რომელსაც ლაბორატორიული და საწარმოო დანადგარების კვებისათვის იყენებენ.

დიასახლისები უთუოდ კმაყოფილი იქნებიან სამზარეულოს ნაგვის სამსხვრევი მანქანით. იგი დაამუშავეს სსრ კავშირის საკავშირო კომისიასთან არსებული ელექტროტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ელექტროტექნიკურ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში.

მანქანა იდგმება სამზარეულოს ონკანის ქვეშ. ელექტროქსელში ჩართვის შემდეგ იგი აქუცმაცებს, ამსხვრევს ძვლებსა და სხვა ნაგავს, გარდა რკინის ნაწილებისა, აქცევს ფხვნილად და წყალთან ერთად მიაქვს საკანალიზაციო ქსელში.

ამავე ინსტიტუტმა გამოფენაზე გამოიტანა ახალი ხელსაწყო, რომელიც განკუთვნილია 2-დან 5 ტონამდე ტვირთამწეობის თვითმავალი ელექტროსატვირთავი მანქანების მართვისათვის.

ლამაზად გაფორმებულ სტენდზე დგას პატარა ხელსაწყო, იგი შეიმუშავეს ხელსაწყოთა და ავტომატიზაციის საშუალებათა დამოუკიდებელ საკონსტრუქტორო ბიუროში. ხელსაწყო განკუთვნილია ნატანტარის წყალსადენში წყლის შემადგენლობის მუდმივი კონტროლისათვის.

ცალკე პავილიონი დაეთმო ჩის დამუშავებისა და ქაღალდის მრეწველობის საწარმოებს. აქ თითქმის სულ ახალი ავეჯია წარმოდგენილი, რომელსაც ამჟამად უშვებენ რესპუბლიკის საავეჯო საწარმოები. კარგი სიახლეა თბილისის ექსპერიმენტალური ფაბრიკის მიერ შექმნილი ორიგინალური კონსტრუქციის დივან-საწოლი.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე თბილისის საავეჯო საწარმოო გაერთიანება „ბანთიადში" დამზადებული საწოლი ოთახის გარნიტური, გვიმზეზებით შესრულებული ტანსაცმლის კარადა, საწოლები, სამზარეულო ოთახის გარნიტური და სხვ.

ბევრი სიახლეა მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის პავილიონში. შესასვლელშივე ლამაზად გაფორმებულ სტენდებზე წარმოდგენილია ქალის ნაქსოვი ფეიერად-ფერადი კოსტიუმები და კაბები. მათი ნიმუშები შექმნეს თბილისის საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის საკავშირო-საკვლევ ინსტიტუტში. ნაქსოვი კოსტიუმები უკვე ითვისა სართავ-სტრიკოტაჟო კომბინატმა და დაიწყო მათი სერიული გამოშვება. მალე მასობრივად გამოიშვებენ ქალის ნაქსოვ კაბებსაც.

მომხმარებელთა მოწონებას იმსახურებს ქუთაისის № 4 სამკერვალო ფაბრიკის პროდუქცია — მამაკაცისა და ქალის საწვიმრები, ტყავისა და ზამშის პალტოები.

— სერთოდ უნდა მოგახსენოთ, — გვეუბნება პავილიონის გამგე რ. ლონტი, — რომ აქ გამოფენილი ნიმუშები ბევრად განსხვავდება ადრინდელი გამოფენების ტანსაცმლისაგან.

არ შეიძლება არ მოიხიბლოთ ცხაკაიას ხალიჩებით. ახლახან ფაბრიკამ დაიწყო საწოლთან დასაგები ლამაზად მონატანები პატარა ხალიჩების გამოშვება.

სხვა ბევრი საინტერესო ექსპონატია გამოფენილი მანქანათმშენებლობისა და ელექტრობის, სამშენებლო, მეტალურგიისა და ქიმიის პავილიონებში. ამ დღეებში აქ გაიხსნება აგრეთვე სოფლის მეურნეობის პავილიონი, სადაც მნახველები მრავალ სიახლეს გაეცნობიან.

ლ. ხუბულური.

რუსთაველ მშრომელთა შვილების საყვარელი ადგილია კულტურისა და დასვენების პარკი, ასე ლაღად რომ გაშლილა მტკვრის პირას. სუფთა აერი, წყალი და მზე, გასართობები — აი რა იზიდავთ მათ ამ ლამაზ პარკში. სურათზე: ბავშვები „რუსთაველის ზღვასთან".

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მეგობრობის ბანაკი

სტუმართმოყვარულად შეხვდა მზიური აფხაზეთი ლათინური ამერიკის ქვეყნებიდან ჩამოსულ სტუდენტებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობენ.

ქალაქ-კურორტის სოხუმის ერთ-ერთი ულამაზესი განაპირა უბანია სოფელი გუმისთა. აქ მხრები გაუშლიათ საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის ეშერის სასწავლო მეურნეობის ხეხილის ბაღებს, ციტრუსოვანთა პლანტაციებსა და ვენახებს.

სწორედ ეს ადგილი იქნა შერჩეული სტუდენტთა მეგობრობისა და ძმობის სკოლა-ბანაკის მოსაწყობად. აქ ჩამოვიდნენ სსრ კავშირში მოსწავლე ლათინური ამერიკის ქვეყნების, აფრიკის და ზოგიერთ სხვა სახელმწიფოთა ახალგაზრდები. მათთან ერთად არიან მოსკოველი, ლენინგრადელი და სოხუმელი სტუდენტებიც.

სკოლა-ბანაკის გახსნასთან დაკავშირებით მოწყობილი საზეიმო სალამოზე ტრადიციული კოცონი აინთო, ახალგაზრდა სტუმრებს მიესალმა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. შინკუბა.

საზაფხულო სკოლის გახსნა დამსწრეთ გულთბილად მიუღოცა და წარმატებები უსურვა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ჩერქეზიამ.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე სკოლის მსმენელები. რომლებმაც დიდი მადლობა გამოთქვეს ესოდენ გულთბილი და მეგობრული შეხვედრისათვის.

მრავალფეროვანია სკოლის პროგრამა. სკოლის მუშაობის ერთი თვის მანძილზე, სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გავლასთან ერთად, სტუდენტები შეხვდებიან მეცნიერებისა და კულტურის საბჭოთა და საზღვარგარეთელ მოღვაწეებს.

პროგრამით გათვალისწინებულია აგრეთვე ლექციები, საუბრები.

სკოლის მეცადინეობა დაიწყო საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის მ. ბღაებას საუბრით თემაზე: „აფხაზეთის სოფლის მეურნეობის განვითარების პრობლემები".

მეგობრობის სკოლა-ბანაკში მოეწყობა საზღვაო დღესასწაულები და სტუდენტთა კარნავალები.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის" საკ. კორ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო" გირჩევთ

ივისათვის, რომ მკითხველმა დროულად შეიძინოს საჭირო და საინტერესო ლიტერატურა, ცხადია, დიდი მნიშვნელობა აქვს წიგნის სწორ პროპაგანდას. წიგნის პროპაგანდას ეწევიან გამომცემლობები, პრესა, რადიო, წიგნის გამაღიზიანელი და ამ საქმით დაინტერესებული სხვა ორგანიზაციები.

ჩვენს რესპუბლიკაში წიგნის პროპაგანდის საქმეში ნამდვილად სასარგებლო როლს შესასრულებს გაზეთის ტიპის **„სარეკლამო ფურცელი,** რომლის პირველი ნომერი ამ დღეებში გამოუშვა გამომცემლობა **„საბჭოთა საქართველომ"** (დირექტორი ე. მაღრაძე).

როგორც ამ პირველ, ისე შემდგომ ნომრებში მკითხველებს მოკლედ, ფრილების, ანოტაციების და ცნობების საშუალებით შეუძლიათ გაიგონონ, რა წიგნები გამოსცა წელს „საბჭოთა საქართველომ", რას მივიღებთ უახლოეს ხანში და წლის ბოლომდე.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" სარეკლამო ფურცელი, რომლის რედაქტორია დ. გეგეჭკორი, ოთხგვერდიანია და უხვად აოის დასურათებული.

მეთარგმნელთა დასახმარებლად

აკადემიური, განმარტებითი, ნორმატიული, ტერმინოლოგიური და სხვა ლექსიკონების გამოცემამდე გამოცემამდე დიდი დრო გადის. ამავე დროს ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფი განვითარების კვალობაზე განუწყვეტლივ მდიდრდება ენის ლექსიკური შემადგენლობა. ეს კი მოითხოვს ახალი ენობრივი ფორმების პერიოდულად მოწესრიგებას. ეს განსაკუთრებით იგრძნობა რუსული ტექსტების ქართულ ენაზე თარგმნის დროს. მთარგმნელი ხშირად ხვდება ახალ გამოთქმებსა და ტერმინებს, რომელთა ეკვივალენტი ქართულ ენაში არ მოიპოვება. ხშირად ეს იწვევს ორთოგრაფიისა და ტექნიკური ტერმინოლოგიის სხვაობას, რაც ცუდ ვავლენას ახდენს მეტყველების კულტურაზე.

იმ მიზნით, რომ მოგვარდეს ტერმინოლოგიისა და ლექსიკის საკითხები, დამკვიდრდეს ზუსტი სინტაქსური და სტილისტური ფორმები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით რესპუბლიკაში გამოიცემა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები". მოცემა დავალებული აქვს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტს.

ეს იქნება პერიოდული გამოცემა განაკვეთების სახით წელიწადში 20 ნაბეჭდი თაბახის მოცულობით. გამოქვეყნდება თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის მიერ შერჩეული და დამტკიცებული ტერმინები და გამოთქმები, მართლწერის, მორფოლოგიის, სინტაქსის, სტილის და ლექსიკის ნორმები.

სპეციალისტები და მოარგმნელები სისტემატურად გაიგებენ, თუ რა ახალი ენობრივი ფორმები, ორთოგრაფიული და ტერმინოლოგიური ცვლილებებია შესატანი უკვე გამოცემულ ლექსიკონებში. გამოცემის ტირაჟი განისაზღვრება ხელმომწერთა რაოდენობის მესაბამისად (საქდესი).

ადამიანის გადასარჩენად

ცამეტი წლის გენა მ., რომლის შესახებაც ექიმები ახლახან ამბობდნენ, მისი მკურნალობა ამაოა და აუცილებლად სიკვდილი მოელისო, ახლა თავს კარგად გრძნობს. „ეშინიან ვთამაშობ ფეხბურთს", — ატყობინებს ბავშვი თავის მხსნელს პროფესორ ბ. დ. კაბაკოვს.

გენა სვერდლოვსკის მახლობლად მდებარე პატარა სადგურის რკინიგზელის ვაჟია. იგი გაგზავნეს ს. მ. კიროვის სახელობის ყბის-სახის ქირურგიისა და სტომატოლოგიის სამსედრო-სამედიცინო აკადემიაში. მანამდე ექვსჯერ გაუკეთეს ოპერაცია, მაგრამ წარუმატებლად. გენა დაავადებული იყო თავისებური ფუძის ანგიფიბრომით — სიმსივნითა, რომელიც განუწყვეტლივ დიდდებოდა. სიმსივნე არღვევდა მის ქსოვილებსა და ძვლებს, საფრთხეს უქმნიდა ავადმყოფის უაღრესად მნიშვნელოვან სასიცოცხლო ცენტრებს, მათ შორის ტვინსა და სასუნთქ გზებს.

აკადემიის გამოჩენილ სპეციალისტთა კონსილიუმმა გამოთქვა დასკვნა: მხოლოდ რადიკალურ ოპერაციას შეუძლია თავიდან აიცილოს გენას სიკვდილი. მაგრამ ოპერაციასაც შეუძლო გამოეწვია მომაკვდინებელი სისხლის დენა.

ექიმებმა მაინც გადაწყვიტეს მიემართათ ოპერაციისათვის.

ოპერაცია გაკაკეთა პროფესორმა ბ. დ. კაბაკოვმა. ანესტეზიოლოგ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორ ი. ნ. შანინთან, ქირურგ-ოტოლარინგოლოგ ვ. პ. ვოსკრესენსკისთან, ექიმ-ორდინატორ გ. ბ. პოლიაკთან და სხვა სპეციალისტებთან ერთად იგი ოთხი საათის განმავლობაში დაძაბულად იბრძოდა საოპერაციო მაგიდასთან ბავშვის გადარჩენისათვის.

ოპერაცია უაღრესად რთული იყო. საჭირო გახდა თავისქალის ფუძესთან სპეციალური მისასვლელის მოძებნა.

პროფესორმა კაბაკოვმა და მისმა კოლეგებმა წარმატებით გადალახეს ეს სინნელეი. მაგრამ, ექიმთა ბრწყინვალე ოსტატობა უძლური იქნებოდა, რომ არ გამოყენებინათ ანესტეზიის უახლესი მეთოდები. ოპერაციის დროს გამოიყენეს ჰიპოთერმიის — ავადმყოფის სხეულის გაცივების, ჰიპოტენზიის — არტერიული წნევის შემცირების მეთოდები. სისხლის დიდი დაკარგვის გამო ავადმყოფს იგი პირდაპირ დონორიდან გადაუსხეს.

ბ. დ. კაბაკოვმა და აკადემიის სხვა ექიმებმა გენა იხსნეს სიკვდილისაგან ოპერაციის შემდგომ პერიოდშიც, რომელიც ძალიან მძიმედ მიმდინარეობდა.

საბჭოთა კავშირის ერთ-ერთმა თვალსაჩინო სპეციალისტმა ოტოლარინგოლოგიის დარგში, რუსეთის სფსრ დამსახურებულმა მოღვაწემ, ლენინური პრემიის laureატმა კ. ლ. ხილოვმა ამ ოპერაციას უიმედოესი ოპერაცია უწოდა. (საკდესი).

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲬᲣᲗᲘ ᲞᲔᲚᲔᲡᲗᲐᲜ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲘᲗ 1965 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠ ᲨᲔᲛᲘᲫᲚᲔᲑᲔᲓᲐ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲙᲐᲠᲘᲠᲔᲑᲘ?

ᲐᲕᲘᲠᲐᲡ ᲞᲔᲚᲔᲡᲗᲐᲜ დალაპარაკება ნაკლებად ძნელი როდი გამოდგა, ვიდრე ალბათ სსრ კავშირ-ბრაზილიის მატჩზე ბილეთის შოვნა. მთელი დღე მან სასტუმროს ნომერში გაატარა, ნებაყოფლობით პატიმრობაში. სალამოს კი, თამაშის შემდეგ, საბჭოთა ფეხბურთელებს რომ დაემშვიდობნენ, ბრაზილიელები დასასვენებლად გაეშურნენ: ფილის რვა საათზე მოსკოვიდან უნდა გაფრენილიყვნენ. და მაინც პელემ რამდენიმე წუთი გამონახა საუბრისათვის.

იი მისი საუბარი ახალი ამბების საგენტოს კორესპონდენტთან, თითქმის სტენოგრაფიულად ჩაწერილი.

— რაზე-ᲬᲘᲐᲠᲝᲒᲠᲐᲓᲘᲗ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲘᲡ ᲬᲘᲜᲔ?

— იმაზე, რომ თამაში ძალიან დაძაბული იქნებოდა.

— რა ᲨᲔᲫᲚᲘᲐᲗ ᲗᲥᲕᲐᲗ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲐᲮᲚᲐ?

— რუსებს კარგი ფეხბურთი აქვთ, როგორიც უნდა იყოს მატჩის შედეგი. ახე ხდება ხოლმე: მაგალითად, შეეციის ნაკრები საბჭოთა ნაკრებზე სუსტია, მაგრამ ჩვენთან უფრო წარმატებით ითამაშა. სსრ კავშირის ნაკრებთან შეხვედრის დეტალებზე მსჯელობას არ ვკისრულობ. გატაცებული ვიყავი თამაშით. ასევე მაყურებლებიც, რამდენადაც შესძლო. ეს კი მთავარია. ფეხბურთი უწინარეს ყოვლისა სანახაობაა, რომელიც ლამაზი უნდა იყოს. პირადად ჩემთვის სასიამოვნო იყო, რომ ჩემ მიერ გატანილმა ბურთებმა ტრიბუნების აღტაცება გამოიწვია. საერთოდ მოსკოველები უაღრესად გულღია ხალხია.

— ᲛᲔ ᲕᲘᲜᲐᲮᲐᲠ, ᲠᲝᲛᲐ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲫᲚᲘᲕᲘᲡ ᲒᲐᲬᲘᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲬᲘᲓᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲬᲘᲓᲘᲡ ᲘᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲠᲝᲛ ᲕᲘᲠ ᲒᲕᲘᲠᲒᲘᲜᲔᲗ ᲡᲐᲛᲘᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘᲡ ᲘᲛᲚᲘᲗᲘᲡ?

— გაგანილ ბურთებს არა ვთვლი. ამას ჩემ მაგიერ ჟურნალისტები აკეთებენ. და, რა თქმა უნდა, არა ვთვლი, რამდენჯერ მომიხდა დამეწერა „პელე". ოღონდ ბურთების გატანა გაცილებით უფრო სასიამოვნოა, ვიდრე ავტოგრაფების მიცემა, თუმცა ამაზე არავის უარს არ ვეუბნები.

— ᲗᲥᲕᲔᲜᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲐᲠᲘᲡ ᲙᲐᲠᲨᲘ ᲣᲤᲠᲝ ᲫᲚᲔᲚᲘᲐ ᲒᲣᲠᲗᲘᲡ ᲑᲐᲗᲐᲜᲐ?

— ბევრს როდი

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს

თბილისის I სამედიცინო სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1965/1966 სასწავლო წლისათვის

დასწრებულ და დაუსწრებელ განყოფილებებზე

მისაღებ გამოცდებზე დაშვებული იქნებიან ორივე სქესის მოქალაქენი:

ა) დასწრებული განყოფილების I კურსზე (რუსული სექტორი) არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებული (შვიდწლედი და რვაწლედი). მოსწავლეებმა, რომლებიც დამთავრებული აქვთ 9 და 10 კლასი, მიიღებენ საერთო წესით, არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ბაზაზე. **ბ) დასწრებული განყოფილების II კურსზე** (ქართული სექტორი) საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი.

გ) დაუსწრებელი განყოფილების II კურსზე (ქართული სექტორი) — საშუალო განათლების მქონე მოქალაქენი, რომელნიც მუშაობენ. რომელიმე სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებაში, მედიცინის დის თანამდებობაზე.

დასწრებული სწავლების განყოფილებაზე მიიღებიან მოქალაქენი 30 წლამდე ასაკისა. **დაუსწრებელ განყოფილებაზე** ასაკის განუსაზღვრელად.

დასწრებული განყოფილების I კურსზე ფერშლის სპეციალობით სწავლის ხანგრძლივობა 3 წელი და 6 თვე, II კურსზე — 2 წელი და 6 თვე.

დაუსწრებელ განყოფილებაზე — მედიცინის დის სპეციალობით — სწავლის ხანგრძლივობა 3 წელი.

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი (დასწრებული განყ. II და დაუსწრებელი განყ. II კურსებზე — ქართული სექტორი) **მისაღებ გამოცდებს აბარებენ** საშუალო სკოლის პროგრამის მიხედვით შემდეგ საგნებში: 1. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), 2. ქიმია (ზეპირი), 3. სსრკ ისტორია.

არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი (I კურსზე — რუსული სექტორი) **გამოცდებს აბარებენ:** 1. რუსული ენაში (წერა — კარნახი), 2. რუსულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი), 3. მათემატიკაში (ზეპირი).

სასწავლებელში შემსვლელთ დარეკტორის სახელზე პირადად შემოაქვთ განცხადება შემდეგი საბუთების დართვით: 1. განათლების მოწმობა (დედანი); 2. ავტობიოგრაფია; 3. სამი ფოტოსურათი (გადაღებული უქუთდოდ 3×4 სმ.) — შემოწმებული; 4. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286, გაცემული საცხოვრებელი ადგილის მიხედვით); 5. ცნობა საცხოვრებელი ადგილის შესახებ; 6. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (იმ პირთათვის, რომელსაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სულ მცირე ორი წლის სტაჟი), შემოწმებული დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ, კოლმეურნეობის წევრებისთვის — ამონაწერი საკოლმეურნეო წიგნაკიდან, შემოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, სადაც აღნიშნული უნდა იყოს კოლმეურნეებისთვის დადგენილი შრომადღეების მინიმუმის შესრულება ცალკეული კალენდარული წლების მიხედვით; 7. დაბადების მოწმობა ან პასპორტი, სამხედრო ბილეთი (სამხედრო ვალდებულთათვის) და მიწერის მოწმობა (წვევამდელთათვის) წარმოდგენილ უნდა იქნას პირადად. არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთათვის საავალდებულოა დაბადების მოწმობის წარმოდგენა.

დაუსწრებელ განყოფილებაზე შემსვლელებმა ზემოაღნიშნულ საბუთებს გარდა უნდა წარმოადგინონ ცნობა სამსახურის შესახებ თანამდებობის ჩვენებით, ამასთან შრომის წიგნაკის ამონაწერი.

კონკურსის შედეგების შეჯამებისას მხედველობაში იქნება მიღებული როგორც გამოცდების ნიშნები. ისე სკოლის დამთავრების მოწმობაში ნაჩვენები ნიშნები.

ცნობა გამოცდების შედეგად სასწავლებელში ჩარიცხული სტაჟის მქონე პირები ვალდებული არიან 1 სექტემბრისათვის წარმოადგინონ შრომის წიგნაკის დედანი, წინააღმდეგ შემთხვევაში გარიცხული იქნებიან სასწავლებლიდან.

დასწრებულ განყოფილებაზე ჩარიცხული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით არსებული წესის საფუძველზე.

საბუთების მიღება იწყრმოებს 31 ივლისამდე დილის 10 საათიდან 12 საათამდე.

მისაღები გამოცდები 1-დან 20 აგვისტომდე. სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს საღამოს 5 საათიდან.

მისამართი: კლარა ცეტკინის ქ. № 200. ტელეფონი 5-41-68.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს

თბილისის კბილის საფეხნიკო სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1965-66 სასწავლო წლისათვის ქართული სექტორის I კურსზე

სასწავლებელი ამზადებს საშუალო სამედიცინო კადრებს კბილის ტექნიკოსის სპეციალობით.

სასწავლებელში მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებული მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე, რომლებიც **ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს** შემდეგ საგნებში: 1. **ქართულ ენაში** (წერა), 2. **ქართულ ენასა და ლიტერატურაში** (ზეპირი), 3. **მათემატიკაში** (ზეპირი).

სწავლის ხანგრძლივობა 3 წელია.

სასწავლებელში შემსვლელს პირადად შეაქვს განცხადება დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: 1. **განათლების მოწმობა** (დედანი), 2. **ავტობიოგრაფია**, 3. **სამი ფოტოსურათი** (გადაღებული უქუთდოდ ზომით 3×4 სმ), 4. **ცნობა ჯანმრთელობის შესახებ** (ფორმა № 286), გაცემული საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, 5. **ამონაწერი შრომის წიგნაკიდან** (იმ პირთათვის, რომელთაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სულ მცირე ორი წლის სტაჟი) შემოწმებული დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ, კოლმეურნეობის წევრებისათვის ამონაწერი საკოლმეურნეო წიგნაკიდან, შემოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, სადაც აღნიშნული იქნება კოლმეურნეობისათვის დადგენილი შრომადღეების ნორმის მინიმუმი ცალკეული კალენდარული წლების მიხედვით და შესრულება.

დემობილიზებულნი სამხედრო ბილეთთან ერთად წარმოადგენენ ცნობას სამხედრო კომისარიატიდან დემობილიზაციის შესახებ, პირადად წარმოდგენილი უნდა იქნას დაბადების მოწმობა ან პასპორტი, სამხედრო ბილეთი (სამხედრო-ვალდებულთათვის), მიწერის მოწმობა (წვევამდელთათვის).

მისაღები გამოცდების შედეგად სასწავლებელში ჩარიცხული სტაჟის მქონე პირები ვალდებული არიან 1 სექტემბრისათვის წარმოადგინონ შრომის წიგნაკის დედანი, წინააღმდეგ შემთხვევაში გარიცხული იქნებიან სასწავლებლიდან.

სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით ერთობლივ.

საბუთები მიიღება 31 ივლისამდე 2-დან 5 საათამდე.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1 აგვისტოდან.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს. მეცადინეობა საღამოს 5 საათიდან.

სასწავლებლის მისამართი: თბილისი. მელიქიშვილის ქ. № 2. ტელ. № 9-62-86.

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1965/66 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე

დღის განყოფილება

1. რუსული ენა, ლიტერატურა და ქართული ენა, ლიტერატურა, 2. რუსული ენა და ლიტერატურა, 3. ქართული ენა, ლიტერატურა და მუსიკა, 4. ბიბლიოთეკათმცოდნეობა (ქართული სექტორი), 5. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა (ქართული, რუსული, აზერბაიჯანული და სომხური სექტორები), 6. მათემატიკა (რუსული სექტორი), 7. ფიზიკა (რუსული სექტორი), 8. ბიოლოგია (ქართული და რუსული სექტორები), 9. ქიმია (რუსული სექტორი).

საღამოს განყოფილება

1. ქართული ენა და ლიტერატურა, 2. რუსული ენა და ლიტერატურა, 3. გეოგრაფია (რუსული სექტორი), 4. მათემატიკა (ქართული სექტორი), 5. ისტორია (რუსული სექტორი), 6. ბიბლიოთეკათმცოდნეობა (ქართული სექტორი), 7. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა და მეთოდიკა (ქართული და რუსული სექტორები).

შემსვლელნი არჩეული სპეციალობების მიხედვით აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში:

რუსული ენის, ლიტერატურის და ქართული ენის, ლიტერატურის სპეციალობაზე: 1. რუსულ ენაში და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი)*, 2. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა)*, 3. უცხო ენაში (ზეპირი)*, 4. ისტორიაში (ზეპირი).

რუსული ენისა და ლიტერატურის; ქართული ენისა და ლიტერატურის; ქართული ენის, ლიტერატურისა და მუსიკის სპეციალობებზე: 1. მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი)*, 2. უცხო ენაში (ზეპირი)*, 3. ისტორიაში (ზეპირი).

შენიშვნა: 1). ქართული ენის, ლიტერატურის და მუსიკის სპეციალობაზე შემომსვლელნი წინასწარ გაივლიან შემოწმებას მუსიკაში. 2) ამ სპეციალობაზე დარჩენილნი ის პირები, რომლებსაც აქვთ მიღებული საშუალო მუსიკალური განათლება შემდეგი განხრით. სადირიჟორო, საორკესტრო, ვოკალური, საფორტეპიანო.

ისტორიის, ბიბლიოთეკათმცოდნეობის, დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის სპეციალობებზე: 1. მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი)*; 2. [illegible]ორიაში (ზეპირი)*

მათემატიკის სპეციალობაზე: 1. მათემატიკაში (წერა და ზეპირი)*; 2. ფიზიკაში (ზეპირი)*; 3. მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა)

ფიზიკის სპეციალობაზე: 1. მათემატიკაში (წერა და ზეპირი)*; 2. ფიზიკაში (ზეპირი)*; 3. ქიმიაში (ზეპირი); 4. მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

ბიოლოგიის სპეციალობაზე: 1. ქიმიაში (ზეპირი)*; 2. ფიზიკაში (ზეპირი)*; 3. მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

გეოგრაფიის სპეციალობაზე: 1. გეოგრაფიაში (ზეპირი)*; 2. ისტორიაში (ზეპირი)*; 3. მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა)

ქიმიის სპეციალობაზე: 1. ქიმიაში (ზეპირი)*; 2. ფიზიკაში (ზეპირი)*; 3. მათემატიკაში (ზეპირი)*; 4. მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

შენიშვნა: ვარსკვლავებით აღნიშნულია მაპროფილებელი საგნები.

განცხადება მიღების შესახებ შემსვლელს შეაქვს უმაღლესი სასწავლებლის რექტორის სახელზე სპეციალობის ჩვენებით.

განცხადებას ერთვის: 1. საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი), 2. დახასიათება უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად, დამოწმებული პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელების, კოლმეურნეობის გამგეობის მიერ. საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულნი დახასიათებას წარმოადგენენ სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელებისაგან. 3. ცნობა უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან. 4. შრომის წიგნაკიდან ამონაწერი, დამოწმებული ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ. კოლმეურნის წევრები წარმოადგენენ კოლმეურნის წიგნაკიდან ამონაწერს, დამოწმებულს კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, მოცემული კოლმეურნეობისათვის დადგენილი შრომადღეების მინიმუმის ჩვენებით ყოველი კალენდარული წლის მიხედვით.

სამსახურის უკანასკნელი წლის ჯარისკაცები წარმოადგენენ სათანადო სამხედრო ნაწილების მეთაურთაგან ცნობებს მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად მოკლევადიანი-შვიდწლედის მიცემაზე თანხმობის შესახებ. 5. ავტობიოგრაფია. 6. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286). 7. ოთხი ფოტოსურათი (უქუთდოდ, ზომა 3×4).

უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელი პირადად წარადგენს: პასპორტს, სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას.

საბუთები მიიღება 31 ივლისამდე.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 1-დან 20 აგვისტომდე.

ინსტიტუტის მისამართი: ილია ჭავჭავაძის პროსპ. № 32. ტელეფონი 2-26-21.

თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1965/66 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე

(ქართული სექტორი):

1. დღის სწავლების განყოფილება:

პირველი კურსი:

1. რადიოკავშირი და რადიომაუწყებლობა;
2. საქალაქო ავტომატური სატელეფონო კავშირი;
3. ბმული აზოტის ტექნოლოგია;
4. მჭიდა მასალების ტექნოლოგია;
5. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა;
6. ქალაქის გზის მეურნეობა;
7. საავტომობილო გზებისა და ხიდების მშენებლობა და ექსპლოატაცია.

მესამე კურსი:

1. საფოსტო კავშირგაბმულობა;
2. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა.

II. დაუსწრებელი სწავლების განყოფილება:

პირველი კურსი:

1. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა;
2. საქალაქო ავტომატური სატელეფონო კავშირი;
3. საფოსტო კავშირგაბმულობა;
4. ბმული აზოტის ტექნოლოგია;
5. მჭიდა მასალების ტექნოლოგია;
6. სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა;
7. ქალაქის გზის მეურნეობა.

დასწრებული სწავლების განყოფილებაზე მიიღებიან მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე, ხოლო **დაუსწრებელი სწავლების განყოფილებაზე** ასაკის განუსაზღვრელად.

პირველ კურსზე ჩარიცხებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც ჩაბარებენ მიაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში:

1. ქართული ენა (წერა მოთხრობის),
2. მათემატიკა (წერა და ზეპირი).

მესამე კურსზე ჩარიცხებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში:

1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა — თხზულება).
2. მათემატიკაში (წერა და ზეპირი).

შენიშვნა: „მბეჭდავი ანოტის ტექნოლოგიის“ და „მჭიდა მასალების ტექნოლოგიის“ სპეციალობების მესამე კურსზე მისაღები გამოცდები ტარდება ქიმიაში ნაცვლად მათემატიკისა (წერა).

მისაღები გამოცდების ჩაბარების შედეგად კონკურსგარეშე ჩაირიცხებიან:

ა) წარმოებიდან მოვლინებული პირები, რომლებსაც აქვთ ორი წლის და მეტი პრაქტიკული მუშაობის სტაჟი;

ბ) საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულნი.



გ) ორი წლის და მეტი პრაქტიკული მუშაობის სტაჟის მქონე პირები.

დარჩენილ ადგილებზე ჩარიცხებიან ყველა დანარჩენი შემსვლელები კონკურსის მიხედვით.

ტექნიკუმის დღის განყოფილებაზე ჩარიცხული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით და საერთო საცხოვრებლით არსებული წესის მიხედვით.

კონკურსის შედეგების შეჯამებისას მხედველობაში იქნება მიღებული როგორც გამოცდების ნიშნები, ისე სკოლის დამთავრების მოწმობაში ნაჩვენები ნიშნები.

განცხადებები მიიღება ტექნიკუმის დირექტორის სახელზე 1965 წლის 31 ივლისამდე (დაუსწრებელ განყოფილებაზე 5 აგვისტომდე) შემდეგი საბუთების დართვით: 1. განათლების მოწმობა (ატესტატი) დედანი; 2. შრომის (ან საკოლმეურნეო) წიგნაკიდან ამონაწერი, დამოწმებული წარმოების ხელმძღვანელის ან კოლმეურნეობის გამგეობის მიერ; 3. ავტობიოგრაფია; 4. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა № 286); 5. სამი ფოტოსურათი (ზომით 3×4); 6. პასპორტი ან დაბადების მოწმობა, სამხედრო ბილეთი (სამხედრო ვალდებულთათვის) ან სამხედრო აღრიცხვის ბარათი (წვევამდელთათვის) წარმოდგენილ უნდა იქნას პირადად (დასწრებული სწავლების განყოფილებაზე).

ჩარიცხვის შემთხვევაში სასწავლო წლის დაწყებისას წარმოდგენილ უნდა იქნას მუშაობის სტაჟის დამადასტურებელი საბუთის დედანი (დასწრებულ განყოფილებაზე).

მისაღები გამოცდები 1965 წლის 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს (დაუსწრებელ განყოფილებაზე — 1 ოქტომბერს).

განცხადებების მიღება და **ცნობების გაცემა წარმოებს** ყოველდღე 9 საათიდან 16 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, უშ. ჩხეიძის ქ. № 8. ტელეფონი 5-32-42.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის

ბორჯომის სატყეო ტექნიკუმი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1965/66 სასწავლო წლისათვის

ტექნიკუმში სატყეო-სამეურნეო განყოფილების I კურსზე მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი და საშუალო სკოლის მე-9, მე-10 და მე-11 კლასების მოსწავლეები. **სწავლების ხანგრძლივობა 3 წელი და 6 თვე.**

ტექნიკუმი ამზადებს მეტყევე-ტექნიკოსებს, რომლებსაც შეუძლიათ იმუშაონ სატყეო უფროსის თანაშემწედ, უბნის მეტყევე ტექნიკოსად, ტაქსატორის თანაშემწედ, სატყეო კულტურებისა და ტყის ექსპლოატაციის ოსტატებად.

ტექნიკუმის კურსდამთავრებულებს ერთდროულად ენიჭებათ ტრაქტორისტის, ბენზინის ძრავიანი ხერხის მოტორისტის, მოტოციკლისტის ან ფაეტონის მოხმარების რომელიმე ნაწარმის ოსტატის პროფესიის კვალიფიკაცია.

ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე.

განცხადება ტექნიკუმში მიღების შესახებ შეტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: 1. განათლების მოწმობა (დედანი) და ცნობა საშუალო სკოლის მე-9, მე-10 და მე-11 კლასებში გადასვლის შესახებ, 2. ავტობიოგრაფია, 3. სამედიცინო ცნობა — ფორმა № 286, 4. ფოტოსურათი 3 ცალი (გადაღებული უქუთდოდ ზომით 3×4), 5. დაბადების მოწმობის ასლი (ნოტარიუსის შემოწმებული), 6. პრაქტიკული მუშაობის 2 წლის სტაჟის მქონე პირებმა უნდა წარმოადგინონ ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, შემოწმებული საწარმო-დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ.

ტექნიკუმში შემსვლელმა პირადად უნდა წარმოადგინოს პასპორტი, სამხედრო ბილეთი-ან მიწერის ფურცელი.

საკონკურსო შერჩევისას მხედველობაში მიღებული იქნება როგორც მისაღები გამოცდების ნიშნები, ისე განათლების საბუთში ნაჩვენები.

ტექნიკუმში შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში: 1. ქართული — (წერა), 2. მათემატიკა — (წერა-ზეპირი).

ტექნიკუმში კონკურსგარეშე ჩაირიცხებიან:

1. ის პირები, რომლებმაც მისაღები გამოცდები წარმატებით ჩააბარეს და აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი არანაკლებ ორი წლისა.

2. ის პირები, რომლებიც გაძღვანილი არიან სასწავლებლად წარმოების, მშენებლობის, საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობისა და სხვა ორგანიზაციების მიერ.

3. საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან სავალდებულო სამხედრო სამსახურის დამთავრების შემდეგ დემობილიზებულნი.

4. დანარჩენ ადგილებზე ჩარიცხება ყველა შემსვლელი კონკურსის წესით.

ტექნიკუმში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით და სტიპენდიით (არსებული წესის მიხედვით).

განცხადებების მიღება 31 ივლისამდე.

მისაღები გამოცდები 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე. ჩარიცხვა 21-დან 25 აგვისტომდე.

მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

დაწერილებითი ცნობების მიღება შეიძლება ტექნიკუმში ყოველდღე დილა 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე, გარდა კვირადღისა.

მისამართი: ქ. ბორჯომი, ინტერნაციონალის ქ. № 36, ტელეფონი 2-43.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

1. დასწრებული ასპირანტურა

ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი: ფუნქციათა თეორია — ორი ადგილი, გეომეტრია და ტოპოლოგია—ერთი ადგილი, გამოთვლითი მათემატიკა — ორი ადგილი. **გამოთვლითი ცენტრი:** გამოთვლითი მათემატიკა — ერთი ადგილი, გამოთვლითი ტექნიკა — ორი ადგილი. **ფიზიკის ინსტიტუტი:** მყარი სხეულის ფიზიკა—ორი ადგილი, ატომური ბირთვისა და კოსმოსური სხივების ფიზიკა — ორი ადგილი, **აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია:** ასტრონომია და ციური მექანიკა — ერთი ადგილი, **გეოლოგიური ინსტიტუტი:** პეტროგრაფია, ლითოლოგია და მინერალოგია — ერთი ადგილი, პალეონტოლოგია და სტრატიგრაფია — ერთი ადგილი. **გეოფიზიკის ინსტიტუტი:** გეოფიზიკა — ერთი ადგილი, ატომური ბირთვისა და კოსმოსური სხივების ფიზიკა — ერთი ადგილი. **კიბერნეტიკის ინსტიტუტი: ფიზიკური** ელექტრონიკა (კვანტური) — ერთი ადგილი, **ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტი:** ავტომატიკისა და ტელემექანიკის ხელსაწყოები და მოწყობილობანი — ერთი ადგილი, ტექნიკური კიბერნეტიკა — ორი ადგილი, ელექტრონული ტექნიკა და ხელსაწყოები — ორი ადგილი. **სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტი:** მასალათა გამძლეობა და სამშენებლო მექანიკა — ერთი ადგილი, სამშენებლო მასალები, დეტალები და ნაკეთობანი — ერთი ადგილი, ნაგებობათა თეორია და გამოცდა — ორი ადგილი, ფიზიკური ქიმია — ერთი ადგილი. სამშენებლო კონსტრუქციები — ერთი ადგილი. **გ. წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის, საბადოთა დამუშავებისა და აფეთქების ფიზიკის ინსტიტუტი:** სამთო ელექტრომექანიკა — ერთი ადგილი, სამარკშეიდერო საქმე — ერთი ადგილი, ქვანახშირის, მადნებისა და არამადნეული წიაღისეულის საბადოების მიწისქვეშა დამუშავება და ექსპლოატაცია— ერთი ადგილი, გაზის საბადოთა დამუშავება და გაზების დინამიკა — ერთი ადგილი, სასარგებლო ნამარხთა გამდიდრება — ერთი ადგილი. **3. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი:** ორგანული ქიმია — ერთი ადგილი, ფიზიკური ქიმია — ორი ადგილი, მაღალ მოლეკულურ ნაერთთა ქიმია—ორი ადგილი, ნავთობის ქიმია და ნავთობქიმიური სინთეზი — ერთი ადგილი, პლასტმასების ტექნოლოგია და გადამუშავება — ერთი ადგილი. **არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი:** ფიზიკური ქიმია—ერთი ადგილი, არაორგანული ქიმია — ერთი ადგილი, რადიაციული ქიმია — ერთი ადგილი, არაორგანულ ნაერთთა ტექნოლოგია — ერთი ადგილი, იშვიათ

აცხადებს მიღებას ასპირანტურაში 1965-66 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობათა მიხედვით

და გაბნეული ნივთიერებების ტექნოლოგია — ორი ადგილი, საწვავისა და გაზის ქიმიური ტექნოლოგია — ერთი ადგილი, ელექტროქიმიურ წარმოებათა ტექნოლოგია — ორი ადგილი. **ი. ჭუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი:** ფარმაცევტული ქიმია — ერთი ადგილი, **ბოტანიკის ინსტიტუტი:** ბოტანიკა ერთი ადგილი, გენეტიკა — ერთი ადგილი, ციტოლოგია — ერთი ადგილი, ვირუსოლოგია — ერთი ადგილი, **ზოოლოგიის ინსტიტუტი.** ემბრიოლოგია და ჰისტოლოგია — ერთი ადგილი, ჰელმინთოლოგია — ერთი ადგილი. **ფიზიოლოგიის ინსტიტუტი:** რადიობიოლოგია — ერთი ადგილი, ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია — ორი ადგილი, ბიოქიმია — ერთი ადგილი, **პრეზიდიუმთან არსებული ბიოქიმიის ლაბორატორია:** ბიოქიმია — ორი ადგილი. **ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი:** ეთნოგრაფია — ერთი ადგილი, **აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი:** მსოფლიოს ისტორია (მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია) — ერთი ადგილი, ახლის ხალხთა ლიტერატურა (ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურა) — ერთი ადგილი, **ფილოსოფიის ინსტიტუტი:** ფილოსოფიის ისტორია — ერთი ადგილი. **ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი:** პოლიტიკური ეკონომია — ერთი ადგილი, სისტემის სამართალი (კრიმინალოგია) — ერთი ადგილი.

2. დაუსწრებელი განყოფილება

გამოთვლითი ცენტრი: გამოთვლითი მათემატიკა — ერთი ადგილი, გამოთვლითი ტექნიკა — ერთი ადგილი. **ფიზიკის ინსტიტუტი:** ბირთვული ენერგეტიკული დანადგარები — ერთი ადგილი. **გეოლოგიური ინსტიტუტი:** გეოლოგია — ერთი ადგილი, პეტროგრაფია, ლითოლოგია და მინერალოგია — ერთი ადგილი, პალეონტოლოგია და სტრატიგრაფია — ერთი ადგილი. **გეოფიზიკის ინსტიტუტი:** გეოფიზიკა — ორი ადგილი. **ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი:** ეკონომიური გეოგრაფია — ერთი ადგილი, გეომორფოლოგია — ერთი ადგილი. **კიბერნეტიკის ინსტიტუტი:** თეორიული კიბერნეტიკა — ერთი ადგილი. **ელექტრონიკის, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტი:** ავტომატიკისა და ტელემექანიკის ხელსაწყოები და მოწყობილობა — ერთი ადგილი, ტექნიკური კიბერნეტიკა — ერთი ადგილი. **სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის ინსტიტუტი:** სამშენებლო კონსტრუქციები — ერთი ადგილი, სამშენებლო მასალები, დეტალები და ნაკეთობანი — ერთი ადგილი. **გ. წულუკიძის სახელობის სამთო მექანიკის, საბადოთა დამუშავებისა და აფეთქების ფიზიკის ინსტიტუტი:** სამთო მანქანები — ერთი ადგილი, ქვანახშირის, მადნებისა და არამადნეული წიაღისეული საბადოების მიწისქვეშა დამუშავება და ექსპლოატაცია — ერთი ადგილი. **ი. ჭუთათელაძის სახელობის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტი:** ფარმაცევტული ქიმია — ერთი ადგილი. **ბოტანიკის ინსტიტუტი:** მიკრობიოლოგია — ერთი ადგილი. **ზოოლოგიის ინსტიტუტი:** ხოოლოგია— ერთი ადგილი, **ფიზიოლოგიის ინსტიტუტი:** ადამიანისა და ცხოველთა ფიზიოლოგია — ერთი ადგილი. **ენათმეცნიერების ინსტიტუტი:** კავკასიური ენები — ერთი ადგილი **შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი:** ქართული საბჭოთა ლიტერატურა (ლიტერატურული ურთიერთობანი)—ერთი ადგილი. **ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი:** საქართველოს ისტორია—ორი ადგილი, არქეოლოგია —ერთი ადგილი. **აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი.** მსოფლიოს ისტორია (მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია) — ორი ადგილი, ახლის ხალხთა ლიტერატურა (მახლობელი აღმოსავლეთის ხალხთა ლიტერატურა) — ერთი ადგილი. **ფილოსოფიის ინსტიტუტი:** ბუნებისმეტყველების ფილოსოფიური საკითხები — ერთი ადგილი, ისტორიული მატერიალიზმი—ერთი ადგილი, ფილოსოფიის ისტორია — ერთი ადგილი. **ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტი:** ფინანსები, ფულადი მიმოქცევა და კრედიტი — ერთი ადგილი, სახალხო მეურნეობის ეკონომიკა, ორგანიზაცია და დაგეგმვა — ოთხი ადგილი (აქედან ორი ადგილი ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკისათვის).

ასპირანტურაში შესასვლელად საჭირო საბუთები მიიღება 25 აგვისტომდე. მისაღები გამოცდები ჩატარდება 4 სექტემბრიდან 25 სექტემბრამდე.

იმ სპეციალობების მიხედვით, რომლებშიც ასპირანტი მომზადდება საქართველოს სსრ გარეთ, საბუთები სათანადო ინსტიტუტში გაგზავნილ უნდა იქნას ა. წ. 15 ივლისამდე ერთ ცალად რუსულ ენაზე, ხოლო ორ ცალად აყადემიის ასპირანტურის განყოფილებაში.

ყველა ცნობის მიღება ასპირანტურაში შესვლის წესების შესახებ შეიძლება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურის განყოფილებაში (თბილისი, ძერძინსკის ქ. № 8; ტელ. 9-91-53).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დამატებით აცხადებს, რომ „ეკონომიური ინფორმაციის მექანიზირებული დამუშავების ორგანიზაციის“ სპეციალობაზე შემსვლელნი ნაცვლად ა. წ. 1 ივლისს გაზ. „კომუნისტში“ გამოქვეყნებული დისციპლინებისა — ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), მათემატიკა (წერა, ზეპირი)*, გეოგრაფია (ზეპირი)*. მისაღებ გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა (წერა), მათემატიკა (წერა, ზეპირი)*, **ფიზიკა (ზეპირი)***.

შენიშვნა: ვარსკვლავით ყველგან აღნიშნულია მაპროფილებელი საგნები.

დაწერილებითი ცნობების მიღება შეიძლება მიმღები კომისიის სამდივნოში მისამართით: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. № 1 (I გორპუსი), ტელეფონი: 2-23-71.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები

9 ივლისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — მიხეთა (მე-9 აბონ. მე-7 წარმოდგენა). **რუსთაველის სახელობის დიდი დრამაზე** — სიბრძნე სიცოცხლისა (უბრალემენტოდ), **გრიბოედოვის სახელობის** — მილონერი (მე-14 აბონ. მე-10 წარმოდგენა).

ტელევიზია

9 ივლისი

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მოთხრობა პტაშკინზე“, 19.10 — „ადამიანი“, 19.20 — „ახალგაზრდა მკურნალი“, 19.30 — „ეროვნული ბანკი“, 19.40 — „ორი საწარმოს ავ-კარგი“